სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

30 ოქტომბერი, 2023 წ.

ბრძანება № 01-02/197

2023-2024 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ,,2023-2024 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ“ **საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 ივლისის N263 დადგენილების,** ,,2023 - 2024 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე'' **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 15 აგვისტოს №76/ნ ბრძანების,** ,,2023-2024 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის N06-01/127 დადგენილების** საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2023-2024 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების (967,500 ლარის ფარგლებში) მიმღები, ბსუ-ს ბაკალავრიატის და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა კონტიგენტი, სულ 430 ადგილი, გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-78;
ბ) ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-43;
გ) მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-49;
დ) აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-50;
ე) ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-79;
ვ) ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-48;
ზ) ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-30;
თ) ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-8;
ი) ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-7;
კ) მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-23;
ლ) სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-15;

2. წინამდებარე ბრძანება გაიგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე) და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტებს).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**